**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის**

# ბრძანება №01-07/107

ქ. ბათუმი „6" ივნისი 2022 წ.

**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის პირობების ცვლილების შესახებ**

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა თეიმურაზ ვარშანიძის 2022 წლის 20 აპრილის №412115 და 25 მაისის №545075 განცხადებები სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 01 დეკემბრის №01-07/131 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების ცვლილების შესახებ.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე და მიღებული იქნა გადაწყვეტილება - უარი ეთქვას ქალაქი ბათუმი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა №14-ში (ს/კ 05.21.31.003) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ ცვლილებას (სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2022 წლის 31 მაისის სხდომის ოქმი №03-04/6).

სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა როგორც, ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, აგრეთვე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებული მდგომარეობა ადგილზე დათვალიერებით და დადგინდა რომ ქუჩიდან ვიზუალური აღქმის გათვალისწინებით, აივნის ფართობის გაზრდით სიმეტრიულობა არ არის დარღვეული, ხოლო შემინული კონსტრუქციის მოწყობა სიღრმეში არ იქნება აღქმადი. საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრთა მოსაზრებაში არ იკვეთება ძეგლის რეალური მდგომარეობის შეფასებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების ფაქტი. შესაბამისად საბჭოს გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო

დასაბუთებას და მყარ არგუმენტაციას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ვეყრდნობით სახელოვნებათმცოდნეო კვლევას და მივიჩნევთ, რომ ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, სრულად აკმაყოფილებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 107-ე 112-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 23-ე, 25-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილებისა და სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის ,,გ" პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნას ცვლილება სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 01 დეკემბრის №01-07/131 ბრძანებით განსაზღვრულ საპროექტო დოკუმენტაციაში, თეიმურაზ ვარშანიძის 2022 წლის 20 აპრილის №412115 და 25 მაისის №545075 განცხადებებით წარმოდგენილი ცვლილების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით;

2. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. №4) ერთი თვის ვადაში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

სააგენტოს დირექტორის მ/შ ზაურ ახვლედიანი